



დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში

დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, (GGI) საქართველოში წარმოადგენს ხუთწლიან პროექტს, რომლის მიზანია დაეხმაროს საქართველოს მთავრობას გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის ამაღლებაში კონკრეტულ მმართველობით და მომსახურების მიმწოდებელ სისტემებში. დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, (GGI) პროექტი დაეხმარება ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე.

დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, (GGI) გაამყარებს კავშირს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებსა და დონეებს შორის მმართველობის ძირითად პროცესებში. მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, (GGI) იმუშავებს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და ხელს შეუწყობს საზოგადოების მონაწილეობის გაზრდასა და საჯარო ინფორმაციის გავრცელებას ძირითადი რეფორმების შესახებ.

პროექტის საქმიანობა აგრეთვე მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვისა და შედეგებზე ორიენტირებული მმართველობის პრინციპების დანერგვასა და მის შემდგომ გაუმჯობესებას; პრიორიტეტების განსაზღვრისა და კანონმდებლობის მომზადების პროცესებში საზოგადოების ჩართულობას; შედეგებზე ორიენტირებულ ბიუჯეტირებას; შიდასახელმწიფოებრივ და საზოგადოებასთან

კომუნიკაციასა და კოორდინაციას. პროექტის ფარგლებში მოხდება დახმარება მმართველობის სისტემებში მიმდინარე რეფორმების ინიციატივებისა და საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებაში.

დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, (GGI) ტექნიკურ დახმარებას გაუწევს პარტნიორ სამთავრობო სტრუქტურებს, ასევე დაეხმარება მათ შესაძლებლობების გაუმჯობესება და ტრენინგების ორგანიზებაში და აღმოუჩენს პიდაპირ და ირიბ დახმარებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. კონკრეტული ღონისძიებების შერჩევა მოხდება ადგილობრივ პარტიორებთან კონსულტაციების საფუძველზე და შესაბამისად პროექტის დღის წესრიგი იქნება „მოთხოვნაზე დაფუძნებული“.

მართალია პროექტის პრიორიტეტების შერჩევისას დღის წესრიგი მოქნილია და განისაზღვრება საჭიროებებისა და მიხედვით ქართველ კოლეგებთან ერთად, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, (GGI) პროექტის სავარაუდო პრიორიტეტებს შეადგენს: ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელება; საჯარო სამსახურის რეფორმა; ჯანდაცვის რეფორმა; ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა; პრიორიტეტების განსაზღვრის გაუმჯობესება და შედეგების მონიტორინგი; ზედამხედველობის ფუნქციების გაუმჯობესება.

შედეგები

- **შედეგი 1** - საჯარო დაწესებულებების გაუმჯობესებული ადმინისტრაციული და ფინანსური მართვა ყველა დონეზე
- **შედეგი 2** - საზოგადოების მაღალი ჩართულობა და ხელმისაწვდომობა საქართველოს დემოკრატიისთვის მართებულ დამოუკიდებელ, საიმედო და მიუკერძოებელ ინფორმაციაზე
- **შედეგი 3** - პრიორიტეტების მომზადებისა და კანონშემოქმედებითი პროცესების დახვეწა
- **შედეგი 4** - მთავრობის საქმიანობაზე ზედამხედველობის გაძლიერება ინსტიტუციონალურ დონეზე

ძირითადი მონაწილეები/კოლეგები

- პრემიერ მინისტრის ოფისი
- სახელწიფო აუდიტის სამსახური
- ფინანსთა სამინისტრო
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- კონკრეტული ადგილობრივი თვითმმართველ თეთულები
- საქართველოს პარლამენტი
- საჯარო სამსახურის ბიურო
- იუსტიციის სამინისტრო
- რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები